United Nations University
Institute on Comparative Regional Integration Studies

INSIGHTBRIEF
No. 1, 2024

მიგნებები: სოციალური სერვისების უზრუნველყოფა საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

მთავარი მკვლევარი: Gaëlle Le Pavic, დოქტორანტურის კანდიდატი.

სუპერვაიზერები: Ine Lietaert; Fabienne Bossuyt; Giacomo Orsini

მთარგმნელი: ელენე გულიაშვილი, მაგისტრატურის სტუდენტი გენტის უნივერსიტეტში

მიმოხილვა

1. ოჯახური და გენდერული ნიშნით ძალადობა ხშირად აღურიცხველი რჩება საქართველოში, მიუხედავად კანონის არსებობისა, მსხვერპლებს უჭირთ პოლიციაში განცხადება.
2. მოძალადეების მიმართ არ მიიღება სავალდებულო ზომები, როგორიცაა თერაპია, ოჯახიდან გამოსახლება და ა.შ.
3. 24 საათიანი თავშესაფრები მთავარი გადაუდებელი დახმარების დაწესებულებებია. აფხაზეთში არ არსებობს თავშესაფრები, სადაც შესაძლებელი იქნება არაფორმალური მხარდაჭერის მიღება .
4. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ძალადობის მსხვერპლთა დახმარებაში, თუმცა მათი ფინანსები შეზღუდულია, განსაკუთრებით რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ.
5. 2017 წელს, საქართველო იყო ერთადერთი ევროკავშირის არაწევრი ქვეყანა, რომელმაც სტამბულის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა, თუმცა რეზერვით. კონვენცია დატოვა თურქეთმა 2021 წელს, უკრაინა კი შეუერთდა 2022 ში.
6. ოჯახური და გენდერული ნიშნით ძალადობის მიმართ მიდგომები კავშირშია გეოპოლიტიკურ მდგომარეობასთან.

შესავალი

დოკუმენტი წარმოადგენს კვლევას, რომლის მიზანია აღბეჭდოს და გაანალიზოს, რამდენადაა უზრუნველყოფილი სოციალური დახმარებები საქართველოში, კერძოდ, სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონი. მოცემული კვლევა ნაწილია სადოქტორო ნაშრომისა სოციალურ მუშაობაში და აისახება ორ აკადემიურ პუბლიკაციაში, რომელთა სახელებია:

როდესაც სოციალური ნიშნავს (გეო)პოლიტიკურს: ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა სოციალური სერვისებით უზრუნველყოფა სამეგრელოს რაიონსა და აფხაზეთში.

„მოგვეცით საკმარისი ყოველკვირეულად, რათა არ გადმოვკვეთოთ საზღვარი ყოველდღე“ - მეტადონის მომხმარებელთა სტრატეგია აფხაზეთში.

კვლევის დიზაინი დაფუძნებულია შემდეგ სოციალურ სერვისებზე და მიდგომებზე:

- ჯანდაცვის უზრუნველყოფა.
- სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების მომსახურება.
- მოხუცთა მოვლის უზრუნველყოფა.
- ოჯახური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა დახმარება.

- შეზღუდული შესაძლებლობების პირთა სოციალური დახმარება.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება.

კვლევის პირველ ფაზაში, მთავარმა მკვლევარმა განახორციელა სამაგიდო კვლევა, ინტერვიუები და დაკვირვებები იმ აქტორებთან, რომლებიც ჩართულნი არიან სოციალური დახმარებების უზრუნველყოფით სხვადასხვა მასშტაბზე:

1. ლოკალური მასშტაბი: ადგილობრივი ხელისუფლება (მაგ.ზუგდიდის მუნიციპალიტეტი), სამეგრელოში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები.
2. ეროვნული მასშტაბი: საქართველოს სახელმწიფო ორგანოები (ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო), თბილისში არსებული სამოქალაქო საზოგადოებები სამეგრელოსთან შემხებლობაში.
3. საერთაშორისო მასშტაბი: საერთაშორისო დონორები და ორგანიზაციები, როგორიცაა ევროკავშირი (ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია და ევროკავშირის დელეგაცია საქართველოში) და გაეროს სააგენტოები; დიპლომატიური მისიები. და თანამშრომლობის ეროვნული სააგენტოები (მაგ. GIZ, USAID), ასევე სამეგრელოში მოქმედი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები.

ოჯახში ძალადობა/გენდერული ნიშნით ძალადობა სათანადოდ ვერ აისახება სტატისტიკაში ნაკლებად აღრიცხვიანობის გამო, რაც გამოწვეულია საზოგადოებრივი სტიგმებისა და წნეხის ფაქტორით.

მოცემული მონახაზის საფუძველზე შეირჩა ორი სერვისი: პირველი, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის გაწეული მომსახურება და მეორე, ჯანდაცვის უზრუნველყოფა, რომელიც უკავშირდება ხელმისაწვდომობას მეტადონზე ნარკოდამოკიდებული ადამიანებისთვის. სელექცია განპირობებულია ჩართული აქტორების მრავალფეროვნებით სხვადასხვა მასშტაბებზე, ასევე ტერიტორიული დაყოფით, რასაც გავლენა აქვს სერვისების უზრუნველყოფასა და ხელმისაწვდომობაზე ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებში, რაც კვლევის მთავარი აქცენტია. ასევე, გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა უზრუნველყოფა და დახმარება, თუმცა არ არის განხილული კვლევის ამ ეტაპზე.

კვლევის შემდეგ ეტაპებზე მთავარი მკვლევარი შეისწავლის კავშირებს, როგორებიცაა:

1. ომებისა და კონფლიქტებისგან გამოწვეული იძულებითი გადაადგილება.
2. სადავო ტერიტორიული დაყოფა.
3. სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობა. კვლევა შემდგომ ეტაპებზე შეიძლება მოიცავდეს ხელმისაწვდომობის საკითხსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უზრუნველყოფას სოციალური დახმარებით.

ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა უზრუნველყოფა სოციალური სერვისებით

მოცემული პუბლიკაცია ნაწილია უფრო ფართო საკვლევი კითხვისა, რომელიც იძიებს თუ რა გავლენას ახდენს (გეო) პოლიტიკური პროცესები ყოველდღიურ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით სოციალური სერვისების არსებობისა და ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, დაკავშირებული ისეთ კრიტიკულ სოციალურ საკითხებთან, როგორიცაა ოჯახური ძალადობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ოჯახურ ძალადობას აღწერს როგორც ქცევის ნიმუშს ნებისმიერი სახის ურთიერთობაში, რომელიც ხელს უწყობს ძალაუფლებისა და კონტროლის მოპოვებასა და შენარჩუნებას ინტიმური პარტნიორის მიმართ. ძალადობა შესაძლებელია განიზაღვროს როგორც ფიზიკური, სექსუალური, ემოციური, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ქმედებები ან მუქარა, რაც ზეგავლენას ახდენს მეორე ადამიანზე. ჩვენს შემთხვევაში, ოჯახში ძალადობა გადაჯაჭვულია გენდერულ ძალადობასთან, რომლის განსაზღვრებაც, გაეროს განმარტებაზე დაყრდნობით, არის: „საზიანო ქმედებები, რომლებიც მიმართულია ინდივიდისადმი და დაფუძნებულია მის სქესზე. სქესის ნიშნით ძალადობის საფუძველია გენდერული უთანასწორობა, ბოროტად გამოყენება ძალისა და მავნე ნორმების“. კვლევამ აჩვენა, რომ გენდერული ძალადობა საოცრად იზრდება კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში, რაც ქმნის ძალადობის კონტინიუმს. ამრიგად, რადგან კონფლიქტის რეგიონი სავსეა მოუგვარებელი ტერიტორიული დავებით, როგორც, მაგალითად, აფხაზეთში, ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გენდერული

ნიშნით ძალადობობა დამახასიათებელია, ზოგადად, სამხრეთ კავკასიისთვის.

მთავარი მიგნებები:

საქართველოში ქალების 6% ფიზიკური/სექსუალური ძალადობის მსხვერპლია ინტიმური პარტნიორისგან.[1] 27% მსხვერპლია სექსუალური ძალადობისა და შევიწროების არაპარტნიორებისგან.[2] ასევე, ქართველი ქალების 14% ქორწინდება ჯერ კიდევ 18 წელს მიუღწეველი.[3] მიუხედავად იმისა, რომ გლობალურ სტატისტიკებთან შედარებით მოცემული რიცხვი დაბალია[4], სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ინტერვიუებმა ცხადყო, რომ ოჯახში ძალადობა/გენდერული ნიშნით ძალადობა სათანადოდ ვერ აისახება სტატისტიკაში ნაკლებად აღრიცხვიანობის გამო, რაც გამოწვეულია საზოგადოებრივი სტიგმებისა და წნეხის ფაქტორით. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ იმპლემენტაციის შესახებ წლიურ ანგარიშში (სტამბულის კონვენციის თანახმად) განაცხადა, რომ სტატისტიკურად, უფრო მეტი ქალი მიმართავს პოლიციას ბოლო წლებში, ვიდრე მანამდე. 2017 წელს დაფიქსირდა მიმართვიანობის 18%, 2009 წლის 1,5%-ის წინააღმდეგ.

გამოკითხულმა პროვაიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს საკითხისადმი მათი ნეიტრალურობა, მიუხედავად იმისა, რომ მათი წვლილი სხვადასხვა მასშტაბების (გეო)პოლიტიკურ პროცესებში საკმაოდ დიდია, რაც განსაკუთრებით შესამჩნევია საკანონმდებლო ჩარჩოებში. (ცხელი ხაზი, თავშესაფარი, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა).

საერთაშორისო დონეზე:

საქართველომ 2014 წელს ხელი მოაწერა, 2017 წელს კი რატიფიცირება მოახდინა სტამბულის კონვენციის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელიც ევროსაბჭოს ძალადობის პრევენციისა და ქალთა წინააღმდეგ და ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კონვენციიდან გამომდინარეობს (2011) - თუმცა ჯერ კიდევ სახელმწიფო კომპენსაციის რეზერვით.[5] ეს ყოველივე მიუთითებს საქართველოს ნაკლებ ჩართულობაზე ოჯახური და გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეროვნულ დონეზე:

2006 წელს, საქართველოში გამოიცა კანონი „ოჯახური ძალადობის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ“. კანონმა განსაზღვრა ქმედებები, რომლებიც ახასიათებს ოჯახში ძალადობას, ასევე ხაზი გაუსვა იურიდიულ და ორგანიზაციულ საფუძვლებს ოჯახში ძალადობის ამოსაცნობად და სამართლებრივ გარანტიებს მსხვერპლთა მხარდასაჭერად და დასაცავად. ინტერვიუს მიმდინარეობისას ექსპერტებმა კანონი დადებითად შეაფასეს, თუმცა ხაზი გაუსვეს შეუსაბამობას კანონის იმპლემენტაციის შესაძლებლობის ირგვლივ, რადგან პოლიცია ხშირად იჩენს უყურადღებობას მსხვერპლთა მიმართ, პოლიციის უმოქმედობამ კი საქართველო ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომდე მიიყვანა.

სამეგრელოში არსებულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ჩაატარეს ტრენინგები ოჯახური ძალადობის შესახებ პოლიციისთვის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით.

საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული თანამშრომლობა შეაფასა ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ნაწილად, რომელიც ატრენინგებს პოლიციის თანამშრომლებს სხვადასხვა ტექსტებითა და მოდულებით. გარდა ამისა, მოძალადეებისადმი მიდგომა ყოველთვის იყო კრიტიკის საფუძველი, რადგან იგი მერყეობდა ფაქტობრივად უმოქმედობას ან სუპერ-რეპრესიულობას შორის, მძიმე სასჯელით სარეაბილიტაციო დახმარებების გარეშე.

სოციალური სერვისების მომწოდებლებმა ხაზი გაუსვეს მოძალადეების მიმართ პრევენციული ზომების ნაკლებობას, დაწყებული სამართლებრივი ინსტრუმენტების ნაკლებობით, მოძალადეებისთვის თერაპიული კურსის გავლის სავალდებულოობითა და ასეთი თერაპიული ცენტრების ნაკლებობით დასრულებული. აღნიშნული მიდგომის არარსებობა ოჯახური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის შემთხვევებს აუღრიცხავად ტოვებს და ბევრად რთულს ხდის დამნაშავეების გამოსახლებას ოჯახებიდან, ასევე მსხვერპლი ხშირად რჩება საკუთარი რესურსებისა და შესაძლებლობების ამარა.

საცხოვრებლის შეცვლა ხშირად ძალიან რთულია ოჯახური ძალადობის მსხვერპლთათვის, მიუხედავად იმისა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალები ბევრ ასპექტში საკმაოდ დაუცველები არიან, ხშირად, როცა მათ იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი

1 15-64 წლის ქალები ერთხელ მაინც განიცდიან შევიწროებას/ძალადობას ინტიმური პარტნიორებისგან UN WOMEN

2 15-64 წლამდე ასაკის ქალები განიცდიან შევიწროებას/ძალადობას არაპარტნიორებისგან, UN WOMEN, საქართველოს ხელისუფლება.

3 დაფუძნებულია რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევაზე, 2010. UNICEF ის კვლევა.

4 მსოფლიოს მასშტაბით, სამიდან ერთი ქალი არის მსხვერპლი ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის, განსაკუთრებით ინტიმური პარტნიორებისგან. (UN WOMEN, 2023)

5 სტატია 30, კონვენციის მეორე პარაგრაფი. (ევროპის საბჭო, 2023)

აქვთ, შედარებით უმარტივდებათ საცხოვრებლის მოძიება განსახლების პროგრამის საფუძველზე, თუმცა გარკვეული სახის შეზღუდვებით, განსაკუთრებით გალში მაცხოვრებლებისთვის.

მასპინძელი დაწესებულებები, როგორებიცაა მიმღები ცენტრი, თავშესაფარი და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანია. ზუგდიდში დღის მიმღები ცენტრი უზრუნველყოფს სამედიცინო, ფსიქოლოგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ და იურიდიულ დახმარებას. 2018 წლის შემდეგ, ძალადობის მსხვერპლებს შეუძლიათ მოითხოვონ სადღეღამისო თავშესაფარი. მსხვერპლმა უნდა მოახდინოს თვითაღიარება, როგორც ოჯახში ძალადობის მსხვერპლად, ამის შემდეგ კი მათ უფლება აქვთ დარჩნენ თავშესაფარში 72 საათის განმავლობაში. ამ დროის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომელმაც დააარსა თავშესაფარი, იწყებს მსხვერპლის აღიარების პროცედურას, ატარებს ინტერვიუებს, აგროვებს ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რათა დროულად მოხდეს გადაწყვეტილების მიღება ქალისა და მისი შვილების სტატუსის შესახებ. სამი დღის შემდეგ მსხვერპლმა უნდა შეავსოს კითხვარი, რომელიც შემდგომ ეგზავნება სახელმწიფო კომისიას და გადაწყვეტს „ძალადობის მსხვერპლის“ სტატუსის მინიჭებისას. აღნიშნული სტატუსი საჭიროა მუნიციპალური ან სახელმწიფო დონის მომსახურებით სარგებლობისთვის.

ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა:

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კვლავ დამოკიდებულები რჩებიან საერთაშორისო დონორების რესურსებზე, რომელთა ნაწილის პრიორიტეტებიც შეცვლილია და რესურსების დიდი ნაწილი ამ ეტაპზე უკრაინისკენაა მიმართული.

ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი პარტნიორობა, სამოქალაქო საზოგადოებამ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს სამეგრელოს მუნიციპალიტეტებთან, რომლებიც ვალდებულნი იქნებიან გაიღონ ხარჯები ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრისთვის.[6] პირადი შემწეობები ძალზედ მცირეა და ისეთი ინიციატივები, როგორიცაა დაფინანსების კამპანიები, ძალიან მცირე რესურსებს აკუმულირებს. შემოწირულობების დიდი წილი მოდის ევროკავშირის მისიაზე კერძო დონაციების ირგვლივ. მიუხედავად ამისა, შემოწირულობები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია მუნიციპალიტეტს სთხოვოს მსხვერპლის თავშესაფარში ყოფნის დაფინანსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსხვერპლი მოითხოვს „მსხვერპლის“ სტატუსის მიღებას. ეს შეიძლება ძალიან რთული აღმოჩნდეს, მაგალითად ეთნიკურად აფხაზი ძალადობის მსხვერპლთათვის, ვისთვისაც საქართველოს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა კვლავაც უაღრესად პრობლემურია. ‘

ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კვლავ დამოკიდებულები რჩებიან საერთაშორისო დონორების რესურსებზე, რომელთა ნაწილის პრიორიტეტებიც შეცვლილია და რესურსების დიდი ნაწილი ამ ეტაპზე უკრაინისკენაა მიმართული.

სამეგრელო აფხაზეთის მიმდებარედ:

ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა ნაწილი კვეთს აფხაზეთს და მიდის სამეგრელოში, რათა შეძლონ სოციალური დახმარების მიღება. ქალთა განვითარების ფონდზე დაყრდნობით, გალში არსებულმა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ მიიღო 75 ქეისი სხვადასხვა მუნიციპალიტეტებიდან, როგორებიცაა გალი, ტყვარჩელი, ოჩამჩირე, 2015 წელს კი ასეთი მხოლოდ 44 შემთხვევა იყო.[7] ჩვენი ინფორმაციით, არ არსებობს მონაცემები აფხაზეთის მთავარი ქალაქის, სოხუმის, და სამი სხვა აფხაზური ოლქის შესახებ.

საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოსასვლელად, ეთნიკურად აფხაზმა მოსახლეობამ უნდა შეავსოს კითხვარი და ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება გასაუბრება აფხაზეთის უსაფრთხოების სამსახურთან, რაც ხშირად განიხილება დამამცირებელ და დამაშინებელ გარემოებად. აქედან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უფრო რთული ხდება ქართულ პოლიციასთან თანამშრომლობა.

6 სამოქალაქო ორგანიზაციებზე დაყრდნობით, ერთი დღის თავშესაფარში გატარება საშუალოდ 55 ევრო ღირს.

7 ევროპის საბჭო 2020. მოხსენება, გვ.99

შესაბამისად, ზუგდიდში არსებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს იმ ქალებისთვის, განსაკუთრებით ეთნიკური აფხაზებისთვის, თავშესაფრის მოძებნაში, რომელთაც არ სურთ პოლიციაში განაცხადონ ძალადობის შესახებ.

აფხაზეთში არ არსებობს ოჯახური ძალადობისა და გენდერული ნიშნით ძალადობის წინააღმდეგ რაიმე კანონი: აფხაზი აქტივისტები ცდილობენ აწარმოონ სხვადასხვა კამპანიები საკითხის ირგვლივ ცნობიერების ასამაღლებლად და კანონის საჭიროების შესახებ, არა მხოლოდ აფხაზურ საზოგადოებასთან კოოპერირებით, არამედ აფხაზეთის ხელისუფლებასთან თანამშრომლობით.[8]

ოჯახური ძალადობის შესახებ კანონის არარსებობა ხელს უშლის სხვადასხვა 24 საათიანი სერვისების მიწოდებას, როგორიცაა ცხელი ხაზი, თავშესაფარი და ა.შ. ყველა სახის სერვისი და დახმარება შემოფარგლულია სტანდარტული

სოციალური უარყოფა აფხაზეთის ხელისუფლებისგან, რომლებიც ოჯახში ძალადობას აღიქვამენ, როგორც შიდა ოჯახურ საქმეს, ხსნის კანონის არარსებობის ფენომენს.

სამუშაო საათებით (დილის 9 დან საღამოს 6 მდე). ამ დროის ჩარჩოს იქით, სოციალური დახმარების მიწოდება მსხვერპლთათვის მხოლოდ სხვადასხვა ინდივიდების კეთილ ნებად რჩება. აქტივისტები იყენებენ საკუთარ ტელეფონებს ცხელი ხაზის უწყვეტობისთვის და ასევე საკუთარ სახლებს, როგორც თავშესაფარს.

სოციალური უარყოფა აფხაზეთის ხელისუფლებისგან, რომლებიც ოჯახში ძალადობას აღიქვამენ, როგორც შიდა ოჯახურ საქმეს, ხსნის კანონის არარსებობის ფენომენს. მიმდინარე სამართლებრივმა დაახლოებამ აფხაზეთსა და რუსეთს შორის ერთობლივი სოციალურ-ეკონომიკური სივრცის შედეგად, შეიძლება გავლენა იქონიოს სამართლებრივ ჩარჩოსა და შემდგომში გაწეულ მომსახურებაზე.

2017 წელს რუსეთის ხელისუფლებამ ოჯახური ძალადობის დეკრიმინალიზაცია მოახდინა, რაც შემდგომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად გადაიქცა. რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის შემდგომ უკრაინაში, 2023 წელს გამოიცა ახალი კანონი, გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევები 6% დან გაიზარდა 12% მდე, მეტიც, რიცხვი გაიზარდა 13.5 დან 58% მდე ისეთ ოჯახებში, რომლებსაც ჰყავთ სამხედრო ოჯახის წევრი/წევრები. რაც შეეხება უშუალოდ ჯარში მყოფებს, ოჯახში ძალადობის პოტენციურმა ნიშნულმა 43%ს მიაღწია.[9] 2023 წლის კანონი არ კრიმინალიზირებს ოჯახში ძალადობას, თუმცა ამძიმებს სასჯელს მოძალადეების წინააღმდეგ.

საერთაშორისო მასშტაბით, რუსეთმა ხელი არ მოაწერა სტამბულის კონვენციას, იმ მიზეზით, რომ „აღნიშნული კონვენცია არ შეესაბამება მათი სახელმწიფოს შიდა ნორმატიულ აქტებს, ტრადიციულ მორალის ნორმებსა და სახელმწიფო საოჯახო პოლიტიკის საფუძვლებს“, ასევე რუსეთს ეშინია, რომ სტამბულის კონვენცია „გენდერული იდეოლოგიების“ ჩამოყალიბებაში იქნება ხელშემწყობი.[10]

აფხაზური და ქართული სამოქალაქო საზოგადოებების თანამშრომლობა დაკავშირებულია ოჯახურ ძალადობასა და გენდერული ნიშნის ძალადობასთან. თანამშრომლობა ხელს უწყობს მსხვერპლთათვის დახმარებაზე ხელმისწვდომობას არა მხოლოდ აფხაზეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე, არამედ დეფაქტო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზეც. აღნიშნული კოოპერაციის მიზანია, დასავლური დონორებისა და ორგანიზაციების მცირე ხელშეწყობით (როგორიცაა COBERM), გაავრცელოს საერთაშორისო პრაქტიკები და მექანიზმები (მაგ. ძალადობის საზომი).[11] ამაში მნიშვნელოვანი წილი მიუძღვის აქტიურ თანამშრომლობას ქართულ და გალში დაფუძნებულ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის, რომლებსაც მართავენ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები.

რუსეთზე დაწესებული დიდი სანქციები გავლენას ახდენს ზემოაღნიშნულ თანამშრომლობაზე, რადგან დეფაქტო საზღვრის კვეთა სოჭის გავლით და რუსული პასპორტების

8 Giloyan, Eleonora. 2021. “‘Не Наша Традиция’. В Абхазии Впервые Заговорили о Домашнем Насилии/”Not Our Tradition”. Abkhazia Speaks out about Domestic Violence for the First Time,” 3 ოქტომბერი, 2021. https://www.kavkazr.com/a/31143060.html

9 მედუზა, დიანა ბარსეგიანი. 2022. “Декриминализации домашнего насилия — пять лет. За это время все стало только хуже? Пострадавшим теперь сложнее получить помощь? А агрессоров вообще наказывают?

10 მედუზა, 2022. “Украина Одобрила Конвенцию о Защите Женщин От Насилия, Которую Критики Считают «пропагандой ЛГБТ». Защитит Ли Она Украинок? А Россия Ее Подписала?

11 Confidence Building Early Response Mechanism framed as: ‘an apolitical, impartial and flexible programme funded by the European Union (EU) and implemented by the United Nations Development Programme (UNDP)’

გამოყენებით ბევრად უფრო შეზღუდული გახდა. შეზღუდული მობილობა ქართველ კოლეგებთან შეხვედრას მეტად რთულს და იშვიათს ხდის, რადგან მხოლოდ მცირე რაოდენობის ქართველ მოქალაქეს შეუძლია აფხაზეთში გადასვლა. სანქციები ასევე გავლენას ახდენს აფხაზური სამოქალაქო ორგანიზაციების დაფინანსებაზეც.

კოვიდ-19 ის პანდემიის დროს გამოყენებული ონლაინ პლატფორმები პირადად შეხვედრების გარკვეულწილად ჩამნაცვლებელი გახდა, სამოქალაქო საზოგადოებების ბევრმა წევრმა განაცხადა რომ ონლაინ მუშაობა მათთვის უფრო მარტივი იყო, არა მხოლოდ გადაადგილების შეზღუდვის გამო, არამედ მგრძნობიარე საკითხების გავლის თავიდან არიდების მიზნითაც, როგორიცაა აფხაზეთის ამჟამინდელი სტატუსი.

ჯანდაცვის უზრუნველყოფა: მეტადონის ხელმისაწვდომობა აფხაზეთში მცხოვრები ნარკოდამოკიდებულებისათვის.

კვლევა აანალიზებს და აღწერს აფხაზეთში მცხოვრები ნარკოდამოკიდებულების მეტადონზე შეზღუდულ წვდომას სამეგრელოში. მეტადონი ოპიოდია, რომელიც გამოიყენება სხვა ოპიოდების ჩანაცვლებისთვის. საქართველოში ნარკოტიკის ჩანაცვლების პროგრამები უფრო პრიორიტეტულია ვიდრე აბსტინენციაზე ორიენტირებული პროგრამები. არსებული 21 ცენტრიდან, 8 მდებარეობს თბილისში.[12] აბსტინენციის ცენტრი არ არსებობს სამეგრელოს რეგიონში, რაც აფხაზეთში მცხოვრებთათვის უფრო რთულს ხდის ხელმისაწვდომობას რეაბილიტაციაზე. გაეროს გენერალური ასამბლეის 2016 წლის სპეციალური სესიის შედეგად, რეზოლუციამ აღიარა ნებაყოფლობითი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ნარკომანიის მკურნალობისა და ადამიანებისთვის მომსახურების უზრუნველყოფის მნიშვნელობა, გაეროს მიერ შემუშავებულ და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ შემუშავებულ სტანდარტებზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს ასევე ადამიანებს ციხეში, ბავშვებსა და ქალებს. მეტადონით მკურნალობის მეთოდი ერთერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებულია ოპიატებზე დამოკიდებულებისთვის. აფხაზეთის მოსახლეობის წვდომა მეტადონზე კი დიდი პრობლემაა, რადგან ნივთიერება აფხაზეთში აკრძალულია.

საკვანძო მიგნებები:

სამეგრელოში დაახლოებით 625 პაციენტია რეგისტრირებული მეტადონის პროგრამაზე. 2023 წლის ივნისში აღნიშნულმა პროგრამამ ზუგდიდიდან რუხის ჰოსპიტალში გადაინაცვლა, რომელიც უახლოესი სოფელია აფხაზეთის კონტროლირებად საზღვართან. პროგრამის ლოკაციის ცვლილებამ გამოიწვია პაციენტების რიცხვის შემცირებაც, დაახლოებით 300 ადამიანით, რომლებიც გამოეთიშნენ პროგრამას, სამედიცინო პერსონალის ინფორმაციაზე დაყრდნობით.

20-30 პაციენტის შეფასებაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აფხაზეთიდან გადმოსული პაციენტები სხვადასხვა სახის არიან.

აფხაზეთში, 2022 წლის ბოლოს და 2023 წლის დასაწყისში რეგისტრირებული იყო 2910 ადამიანი, 1126 მათგანი ნარკოდამოკიდებული, ხოლო 1784 ალკოდამოკიდებული.[13]

მეტადონის პროგრამა საქართველოში დაფუძნებულია ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შესახებ კანონზე დაყრდნობით. კანონი ადგენს, რომ სააფთიაქო ნარკოტიკული კონტროლირებადი ნივთიერების ერთჯერადი დოზა შეიძლება მიეცეს პაციენტს, აქედან გამომდინარე , საჭიროა პაციენტების ყოველდღიური მისვლა სარეაბილიტაციო ცენტრში, ამ შემთხვევაში რუხის საავადმყოფოში.

საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნა, რომ 2018 წელს დასრულდა 200 საწოლიანი რუხის საუნივერსიტეტო კლინიკის მშენებლობა, რომელიც მიზნად ისახავს „გაამარტივოს ჯანდაცვის პროცედურები საოკუპაციო ხაზთან, განსაკუთრებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიმდებარედ (...) რათა ოკუპირებული ტერიტორიების მაცხოვრებლებისთვის სერვისების მიწოდება მოხდეს“. მიუხედავად ამისა, ჩვენმა რეგულარულმა დაკვირვებებმა გამოავლინა ცარიელი დაწესებულებები, გარდა მეტადონის პროგრამისა. მიზეზები, რომლებზეც სამედიცინო პერსონალი საუბრობს, არის ობიექტის ადგილმდებარეობა, რომელიც არაკომფორტულია არა მხოლოდ პაციენტებისთვის, არამედ სამედიცინო პერსონალისთვისაც, რომელთა უმეტესობაც თბილისში ცხოვრობს და სჭირდებათ კარგი ფინანსური სტიმული რუხის საავადმყოფოში მუშაობისთვის.

კოვიდ-19 ის პანდემიის დროს რუხის საავადმყოფო გადაიქცა მიმღებ ცენტრად, საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა პაციენტების მეტადონით მომარაგება ხუთი დღის განმავლობაში, რასაც პაციენტების მხრიდან კარგი გამოხმაურება მოჰყვა, განსაკუთრებით კი აფხაზეთის მაცხოვრებლებისგან, რომელთაც სოფელ რუხში ჩასვლა უწევდათ. მხოლოდ ერთეული დოზის მიწოდების

12 თ.ზვიადაძე, 2021. Return Migration and Substance Abuse in Georgia, UNUCRIS report, United Nations University, გვ. 29

13 Figures are figures from the head doctor of the narcology centre, Irma Anoua in an interview with Sputnik Abkhazia

გადაწყვეტილების მიღებამ კრიტიკა გამოიწვია არა მხოლოდ პაციენტებში, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციებშიც.

პაციენტებს უწევთ ყოველდღიური მგზავრობა აფხაზეთიდან სამეგრელოში, გადაადგილება კი საკმაოდ ძვირია (დაახლოებით 600 ლარი/200 ევრო თვეში). ასევე მგზავრობაში დახარჯული დრო გავლენას ახდენს ამ ადამიანების სოციალურ ცხოვრებაზე და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმდება.

განსხვავებული მოქალაქეობის მქონე პირთათვის ენგურის გადაკვეთის პროცედურაც სხვადასხვაა, როგორც პაციენტები ამბობენ, „აფხაზეთისა და რუსეთის საზღვრის“ გადაკვეთა მათთვის უფრო ადვილია ვისაც აქვს „აფხაზური პასპორტი“. ზოგიერთი პაციენტი იხსენებს საზღვრის კვეთის სირთულეებს, როდესაც მათ უწევდათ მდინარით და ტყეებით სიარული. სამედიცინო პერსონალმა ასევე განაცხადა, რომ ზოგი მეტადონის პროგრამის მონაწილე დაპატიმრებულიც კი ყოფილა აფხაზეთის ხელისუფლების მიერ.

აფხაზეთში მეტადონი აკრძალულია და კანონი ნარკოტიკული ნივთიერებების შესახებ მას არც კი მოიხსენიებს. აფხაზურ მედიაში ვრცელდება რამდენიმე დაპატიმრების შემთხვევა რუსეთიდან მეტადონით ვაჭრობასთან დაკავშირებით, მეტადონი რუსეთშიც აკრძალულია. 2020 წელს დაპატიმრებულ იქნა გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს უფროსი სანიტარი ექიმი.

მეტადონის მომხმარებელთა ნაწილმა, რომლებიც სამეგრელოში აფხაზეთიდან ჩამოდიან, იცის, რომ სამართლებრივი გარემოებები ხელს უშლის მეტადონის ცენტრის გახსნას აფხაზეთში. ამის გამო მათ შეიმუშავეს სხვადასხვა სტრატეგიები, რათა მიაღწიონ მიზანს - 5 დღის დოზის მიწოდებას: ისინი ლობირებენ 1) ადგილობრივ ექიმებს, 2) საქართველოს სამინისტროს, 3) გარე დაინტერესებულ პირებს, მაგალითად მკვლევრებს, მოითხოვენ შედეგს როგორც ფორმალურად, ასევე არაფორმალურად, თუმცა ჯერჯერობით წარუმატებლად.

საქართველოს ხელისუფლებამ შეწყვიტა მრავალჯერადი დოზის გაცემა, მიდგომები კი ნარკოდამოკიდებულების მიმართ შესაძლოა იყოს ან რეპრესიული, ან „მომხმარებლური“ , როგორც „ადმინისტრაციული რესურსი“. ეს ყოველივე განსაკუთრებით არჩევნების დროს ხდება აქტუალური, როცა მეტადონის მიწოდება მომხმარებლებისთვის ხდება კონკრეტული პარტიისთვის ხმის მიცემის სანაცვლოდ.

მეთოდოლოგია:

კვლევის ფარგლებში ინფორმაცია შეგროვდა 14 კვირიანი საველე სამუშაოების შედეგად სამეგრელოს რეგიონსა და თბილისში. მთავარმა მკვლევარმა ინტერვიუები ჩაატარა ქართული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ლიდერებთან, პერსონალთან და საერთაშორისო მოხალისეებთან (ნ=12), ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და დონორებთან (ნ=11), საქართველოს ხელისუფლების ეროვნულ და ადგილობრივ წარმომადგენლებთან და საერთაშორისო

პაციენტებს უწევთ ყოველდღიური მგზავრობა აფხაზეთიდან სამეგრელოში, გადაადგილება კი საკმაოდ ძვირია (დაახლოებით 600 ლარი/200 ევრო თვეში). ასევე მგზავრობაში დახარჯული დრო გავლენას ახდენს ამ ადამიანების სოციალურ ცხოვრებაზე და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმდება.

არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა მრავალი დაკვირვება, მათ შორის ორ სამოქალაქო ორგანიზაციაში, რომელიც პასუხისმგებელი იყო სოციალური დახმარებების მიწოდებაზე. ასევე ზუგდიდის ახალგაზრდულ კლუბში, ერთ საავადმყოფოსა და მოხუცთა სახლში სოფელ რუხში.

მთავარი მკვლევარი აწარმოებდა დისკუსიას ჯგუფებში ოჯახური ძალადობის ფონის მქონე ბავშვებთან, მეტადონის მომხმარებლებთან, იძულებით გადაადგილებულ ქალებთან, რომელიც ორიენტირებული იყო სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობაზე (ნ=4). - სამ ლოკაციაზე, ზუგდიდში (ნ=2), ჯვარში და სოფელ რუხში.

მეთოდოლოგია:

ჩვენი კვლევა ვერ ჩატარდებოდა მრავალი რესპონდენტის და ინფორმანტის მხარდაჭერის გარეშე სამეგრელოსა და თბილისში. მთავარ მკვლევარს სურს გამოხატოს მადლიერება მათ მიმართ, ვინც გამონახა დრო, გაუზიარა მას მნიშვნელოვანი დეტალები და კონტაქტები, ასევე უმასპინძლა თბილისში, ზუგდიდში, ჯვარში და რუხში. მთავარი მკვლევარი ასევე მადლობას უხდის UNU-CRIS - ის კოლეგებს, გენტის უნივერსიტეტს და მის გარეთ, რომლებმაც უზრუნველჰყვეს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, ხელმძღვანელობა და გამოხმაურება ამ კვლევის განმავლობაში. აკადემიური პუბლიკაციები და სხვა კვლევის შედეგები ხელმისაწვდომია Academia.edu და ResearchGate პორტალებზე. ნებისმიერი შეკითხვა და კომენტარი მისასალმებელია წინამდებარე სადისემინაციო ნაშრომსა და სხვა პუბლიკაციებზე:

gaelle.lepavic@ugent.be